№ 88. 28 აპრილი, სამშაბათი. 1866—1884 28 აპრილი, სამშაბათი. № 88.

თბილისი

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების“ ფასი პირველის მაისიდამ წლის დამლევამდე 7 მანათი.

### ორიოდე სიტყვა ისტორიულ საზოგადოებასა და ჟურნალზედ.

რომ ჩვენი წარსულის არხეოლოგიური და ისტორიული გამოკვლევა ფრიად საჭიროა, ამაზედ, ვგონებ, ეჭვი არავის არ უნდა ჰქონდეს...

ეს აზრი, ჩვენდა სანუგეშოდ, თანდათან ვრცელდება ჩვენი ხალხის მოწინავე საზოგადოებაში და ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ ამ მოვლენას თავისი ჭეშმარიტი ნიადაგი და მიზეზები აქვს ამ გვარი მოვლინება უსათუოდ მალე განხორციელდება, მალე გარდაიქცევა საქმედ. როგორც გაზ. „დროებიდამ“ და სხვა კერძო წყაროებიდამ შევიტყეთ, ამ მოვლენის განხორციელების საქმეს დღეს კიდეც შესდგომიან რამდენიმე პატივცემულნი პირნი, რომელთაც განუზრახავთ შეადგინონ ამ საქმის ხელშემწყობი საზოგადოება და დააარსონ თავისი სპეციალური ჟურნალი. შცხო და პატიოსანი. ამ გვარი საზოგადოების დაარსება შესაძლებელიც არის და დიდად სასარგებლოც... სხვა არა იყვეს-რა, წარმოვიდგინოთ, თუ რავდენი რამ არის ჩვენს წარსულზედ დაწერილი სპარსულს, ბერძნულს, რომაულს, ფრანცუზულს, რუსულს და სხვა ენებზედ! ყველა ესენი რომ გადმოსთარგმნოს საზოგადოებამ, შეაგროვოს ერთად და, შეძლებისა და გვარად, რიგზედ დააწყოს, ესეც დიდი ღვაწლი იქნება მომავალის წინაშე!... მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ისტორიული საზოგადოება აგრეთვე დიდ ყურადღებას მიაქცევს იმ ძველი სიგელების, გუჯრების, სხვა-და-სხვა წარწერათა და ნივთთა მოპოვებას, შეძენას და შემუშავებას, რომელნიც ჯერ კიდევ ასე ბლომად მოიპოვებიან მთლად ამიერ-კავკასიის თითქმის ყოველ კუთხეში. რასაკვირველია, ამ საქმის ხეირიანად წაყვანას ღარბაისელი მუშაკები ეჭირვება და მომეტებულად საჭიროა განვითარებული და მცოდნე ხელმძღვანელი ამ მუშაკთა. ჩვენდ სასიამოვნოდ, დღეს ამისთანა კაცი გვყავს და ამ საქმეშიაც სხვის ხელის შემაცქერალობა არ დაგვჭირდება.

ეჭვი არ არის, რომ ამისთანა მეცნიერულად განვითარებული, ამ საქმეში გამოცდილი და პატიოსანი მოღვაწე, როგორიც არის პატივცემული დიმიტრი ზ—ძე ბაქრაძე, შესაფერს პროგრამას დაუწერს საზოგადოებას, შთაბერავს მის წევრთა თვისს მეცნიერულ მიუდგომლობას, გაუძღვება წინ და სწავლა-განათლების სხივებით გაჰფანტავს ჟამთა-ვითარების ბურუსს, რომლითაც მოცულია ჩვენი მრავალ ტანჯული და ფრიად საინტერესო წარსული!.. ამნაირად, ისტორიული საზოგადოების დაარსება დიდად სასარგებლო და სანატრელია!.. ჩვენის აზრით, ესევე არ შეიძლება ითქვას სპეციალურ ისტორიულ ჟურნალის დაარსებაზედ, და ვგონებ, არც არის აგრე რიგად საჭირო ამგვარი ჟურნალი მისაღწევად იმ საგნისა, რომელიც ზემოთ გამოვთქვით... ყველამ კარგად ვიცით, რომ სპეციალური ჟურნალები იბადებიან იქ, სადაც საზოგადოება მეცნიერულად კარგა განვითარებულია.. ჩვენი საზოგადოება?.. ჯერ რუსეთშიაც კი სპეციალური გამოცემანი ვერ არიან კარგა წელში გამართულნი და დაშორებით უფრო ნაკლები მკითხველები ჰყავთ, სინამ საზოგადო ხასიათიან გამოცემათა. ჩვენი საზოგადოება ხომ უფრო დაბლა სდგას რუსეთისაზედ და, მაშასადამე, ჩვენში უფრო სუსტი იქმნება სურვილი ამგვარი წიგნების კითხვისა.

შეიძლება წინადვე ვსთქვათ, რომ ჩვენს ისტორიულ ჟურნალს ძალიან ცოტა ხელის-მომწერლები ეყოლება, რის გამოც თვისი თავის შენახვა მას ვერ შეეძლება... მე ვგონებ, რომ ისტორიული საზოგადოების ნაღვაწის ბეჭვდა საზოგადო ხასიათიან გამოცემაში, სადაც შეიძლება ამ გვარ ცალკე განყოფილებასა დაეთმოს უფრო მოსახერხებელი და სასარგებლო იქნება... პირველად საზოგადოების ნაწერებს ნაწერებს უფრო ბევრი მკითხველები ეყოლებათ, რადგანაც მათ გვერდზედ გასართობი და სასარგებლო ნაწერებიც იქმნებიან მოქცეულნი და ამათგან წახალისებული მკითხველი პირველთაც არ დასტოვებს უყურადღებოდ... მეორედ, საზოგადოებას თითქმის არაფერი არ დაეხარჯება თავის წერილების დასაბეჭდავად და ცალკე წიგნების გამოცემაც უფრო იაფად დაუჯდება, რაც ამ წიგნების ფასს დაამცირებს და საზოგადოებას მათ მოპოვების შეძლებას მისცემს.

---

«დროების» ფელტონი 24 აპრილი.

### საბრალო ტასო.

(სურათი ბატონ-ყმობის ცხოვრებიდამ)

რუსულიდამ გადმოკეთებული.

(დასასრული*)

რამდენიმე დღის შემდეგ წრფელაძე კიდევ მოვიდა ნემსაძისას. ვასილ შინ არ დახვდა. ტასომ მიიღო იგი გულღიად, შეაქცია ლაპარაკით, თარი დაუკრა და იმღერა რამდენიმე ხმა. შემდეგ არჩილმა დაიწყო ლაპარაკი წარსულზედ, მაგრამ ტასომ გაიქნია თავი და მხიარულად უთხრა:

— თქვენც მოგიცლიათ და ლაპარაკობთ წარსულზედ! რაც მოხდა, ის განქრა, როგორც გაზაფხულის თოვლი. სჯობიან, ყური დაუგდოთ ჩემს სიმღერას, დაისწავლოთ სიტყვები და, როდესაც შინ დაბრუნდებით, თქვენს ცოლს უმღეროთ. თქვენ, მახსოვს, კარგი ხმა გქონდათ ყმაწვილობისას.

— თქვენ რაღად იგონებთ წარსულს?—უთხრა არჩილმა. თუ კი თქვენ მოიგონებთ, რატომ მე არ შემიძლიან მისი მოგონება?

— მე ვიგონებ წარსულს, რომელიც შეიძლება ეხლაც მობრუნდეს, და თქვენ კი ისეთ საგანზედ იგონებთ წარსულს, რომ მისი მობრუნება შეუძლებელია. აი, შეხედეთ, — დაუმატა ტასომ და თავის ფანჯარისაკენ მიბრუნდა, რათა მოარიდოს თვალი არჩილს, — მგონი, თქვენი ცოლი ფანჯარასთან მობძანდა. მოდი, ვუმღერებ რასმე; უნდა გავამხიარულო; მწუხარედ იქნება საცოდავი. მარტოკაა; ქმარი აქა-იქ დასეირნობს.

ტასომ აიღო თარი, დაჰკრა სიმებს და გრძნობით დამღერა. არჩილი გამოუთხოვებლივ წავიდა. ტასომ ხარხარი დაადევნა თან, მაგრამ, როდესაც არჩილი პირ-და-პირ სახლის ეზოში შევიდა, ტასო ქვითინს მოჰყვა.

—

ამ დღიდგან ტასო მიეცა მწუხარებას. თუმცა იგი ჩვეულებრივ საქმობდა, ალერსიანად და ყურადღებით იყო ვასილთან; მაგრამ ვასილ ატყობდა, რომ ტასო წინანდელი ტასო აღარ იყო; მისი გული სადღაც შორს დაფრინავდა და აქ დარჩენილიყო მხოლოდ მისი ცოცხალი გვამი.

წრფელაძე აღარ დაიარებოდა მათთან; მაგრამ პირდაპირ სახლში იდგა და იქიდამ მუდამ თვალს ადევნებდა ტასოს, როდესაც იგი ხელ-საქმით ფანჯარასთან დაჯდებოდა ხოლმე. ტასომ შენიშნა ეს და უფრო ხშირად დაჯდებოდა ხოლმე ფანჯარასთან, ხან ხელსაქმით, ხან გაზეთით, ხანდისხან კიდევ მღეროდა, ისე ნაღვლიანს და მწუხარე ლექსებს, რომ ვასილს, რომელიც მეორე ოთახში იყო ხოლმე, თვალში ცრემლები ერეოდენ. რამდენიმე დღის განმავლობაში ტასო სრულიად გამოიცვალა. ყველამ შეატყო ეს ცვლილება.

— შეუყვარდა, შეუყვარდა, — სწუხდა წიკლაური, რომელსაც თან-და-თან, უფრო და უფრო ერეოდა ტასოს სიყვარული; ეჭვი ჰქონდა ნებიერიძეზედ და ეძებდა მასთან ჩხუბის მიზეზს.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რა საშინლად უყვარს ტასოს ის წრფელაძე, — ჰფიქრობდა ნებიერიძე.

— მე აღარ ვუყვარვარ ტასოს და მიზეზი ნებიერიძე არის, — ესე ფიქრობდა წრფელაძე, რადგან ფანჯრიდამ ხედავდა, რომ ტასო და ნებიერიძე ხშირად მარტონი ლაპარაკობდენ.

მან დაიარა საპატიმრონი და ყველას კმაყოფილი დარჩა, გარდა იმ ნაწილისა, რომელსაც ნებიერიძე განაგებდა.

— იმიტომ ვერ აგისრულებიათ თქვენ თქვენი თანამდებობა, — უთხრა მან ლვარძლიანად, რომ ხშირად დაბძანდებით ნემსაძისას.

— პირველი, თქვენ ნება არა გაქვთ შენიშვნის მოცემისა; თუ უხეიროდ ვასრულებ ჩემს თანამდებობას, შეგიძლიანთ მიჩივლოთ. მეორედ, თქვენ სცდებით, მე ნემსაძისას იშვიათად დავდივარ.

—

ეს საუბარი ნებიერიძემ გადასცა ტასოს. მის გამხდარ და გაყვითლებულ ლოყებზედ სიწითლემ გაჰკრა.

— იეჭვიანობს, — წაიბუტბუტა ტასომ. — დეე იტანჯოს, მე უფრო ბევრი ტანჯვა გამოვიარე და არავინ შემიბრალა. ოჰ, რომ იცოდეთ, გრიგოლ, რა ძლიერ მეჯავრება წრფელაძე!

— კარგი! ნუ ატყუებთ თქვენ თავს, თქვენ ის გიყვართ. ტასო წამოხტა სკამიდამ, სახე გაუწითლდა და თვალები სიბრაზით აენთო.

— არა... არა... აღარ გაბედოთ მეორედ მაგის თქმა, — ქაქანით უთხრა ტასომ, თორემ წაგეჩხუბებით. მიყვარს? საიდამ მოიგონეთ! მძულს... მძულს...

— მგონი, უმჯობესი იქნება, წავიდე აქედამ? ნაღვლიანად ჰკითხა გრიგოლმა.

არა, არა, იჯექით. ახლოს მოიდგით სკამი; აი ეგრე. ხელიც გამომართვით, ესრე ვისხდეთ და ვიღუღუნოთ, როგორც მტრედებმა. დეე იმან გვიცქიროს და გაიხაროს.

— თქვენ, ქალები, მხოლოდ თქვენს თავზედ ჰფიქრობთ. ეგ ხომ ჩემთვის სიკვდილი იქნება. მე ლამის თქვენის სიყვარულით გავგიჟდე; თქვენ მე არ თანამიგრძნობთ და მეუბნებით — წრფელაძის დასარწმუნებლად ჩვენს სიყვარულზედ ვითამაშო ტყუილად როლი შეყვარებულისა, — სთქვა გრიგოლმა

*) იხილე „დროება“ № 87.

ჩემის აზრით, ძალიან საჭიროა, რომ საზოგადოებამ თავის ქონება მომეტებულად მოახმაროს ისტორიულ მასალათა მოგროვებას, რისთვისაც, სხვათა შორის, საჭირო იქმნება საზოგადოების მომზადებულ წევრთა გაგზავნა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში... მესამედ, საზოგადო ხასიათიან ჟურნალს ისტორიული საზოგადოების მოღვაწეობით დიდი მნიშვნელობა მიეცემა, შინაარსით გაუმჯობესდება და ამითი უფრო საყურადღებო გახდება მკითხველთათვის, სინამ ეხლა. გარდა ყველა ამისა, სპეციალური ჟურნალის დაარსება არა ერთს თანამშრომელს მოაკლებს ეხლანდელ გამოცემათ, რის გამოც ამათი საქმე უფრო წახდება და თვით სპეციალური ჟურნალი ვერ დაიჭერს ამ უკანასკნელთა ადგილს.

ნ. ლ—ური.

გორი.

## შინაური ქრონიკა

═ ჩვენ შევიტყვეთ, რომ მეფის საიპარხიო კანცელიარიის თარჯიმნის იოსიაშვილის მოკვლის გამო დაუჭერიათ 65 წლის მოხუცი, პოდპორუჩიკი ანტონ დუმბაძე და იმის შვილი ბლ—ი. როგორც ისმის, იოსიაშვილის მოკვლის მიზეზი მხოლოდ მტრობა უნდა იყოსო და ზემოხსენებულ პირებს გარდა სხვებს იოსიაშვილთან დიდი მტრობა არავისა ჰქონიაო.

═ ამ დღეებში გორში დაუჭერიათ ერთი 18—19 წლის ყმაწვილი სომეხი, რომელიც ყალბ ფულსა სჭრიდა. ყალბი ბილეთები თურმე ისეა გაკეთებული, რომ ეს ყმაწვილი თითონ ვერ მოახერხებდა, თუ სხვა დამხმარებელი არავინა ჰყოლოდა, მაგრამ დამნაშავე არა ტყდება და სრულს დანაშაულს თითონა ჰკისრულობს.

═ დაბა ოზურგეთიდამ გვწერენ: «აგერ ორი თვეა, რაც აქაურს ზოგიერთა მცხოვრებლებს ყვავილი გამოაჩნდა; ამ უკანასკნელს დროს ავად-მყოფობამ იმსხვერპლა ოზურგეთის ეკლესიის «სტაროსტა» ქ. გოგეიშვილი.

ამას წინად აქ მოვიდა სენაკის მაზრის ექიმის მიერ გამოგზავნილი ფერშალი, რომელმაც ყვავილი აუცრა ხალხს ბაზრებში და ოჯახებშიაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრს არ გამოუვიდა კარგი ყვავილი. ამ ჟამად ავადმყოფები არიან თუთხმეტი სული; მათ შორის უმეტესი ნაწილი ყმაწვილებია.

გარდა ოზურგეთისა, ყვავილი კიდევ გამოჩნდა ოზურგეთის მახლობლად, სოფელ ბაუწყენარს (სენაკის მაზრაში) რვა მოსახლისას; იქაც ავად-მყოფობას ერთი გლეხი უმსხვერპლია».

═ ყარსიდამ გვწერენ: „ამ აპრილში უპირველესი ციხე-ციტადელიდამ ერთი დიდი ლოდი მოსწყდა, ჩამოვარდა და დაეცა ერთს შენობას, სახლები დაანგრია და ორი კაციც მოჰკლა. ლოდი სახლის ნანგრევებმა შეაყენეს, თორემ დიდი უბედურება მოელოდა აქაურს სომხების ქალებისა და ვაჟების სასწავლებელს, რომელშიაც ორასამდე ყმაწვილი სწავლობს“.

═ ადრიატიკის ზღვის ნაპირზედ პარიჟელ როთშილდებსა აქვთ გამართული უზარმაზარი ქარხანა, სადაც ნავთისაგან კეროსინს აკეთებენ. აქამდის ამ ქარხანაზედ ამერიკულ ნავთსა ხმარობდენ, მაგრამ ბაქომდე რკინის-გზის გაყვანის შემდეგ, ამ ქარხანის გამგეობას უფრო სასარგებლოდ დაუნახავს, რომ ნავთი ბაქოდამა ჰზიდოს და ამ აზრით ამ ქალაქში გამოუგზავნია, რამდენიმე საქმის-მცოდნე პირნი. ეს უკანასკნელნი ბაქოდამ პეტერბურგში მისულან და ნობელის ფირმასთან პირობა შეუკრავთ, რომ ხსენებულ ქარხანისათვის საჭირო ნავთი ბაქოდამა ჰზიდონ. («ნოვოე ვრემია»)

═ «ნოვოსტების» სიტყვით, პირველად რომ ამიერ-კავკასიაში სცადეს ჩაის ბუჩქების დარგვა, ამ ცდამ ისე კარგად ჩაიარა, რომ ერთს მემამულეს განუზრახავს ჩაის პლანტაციების გამართვა დონის ჯარის მაზრაში.

═ შაბათს, 21 აპრილს, საღამოს 9 საათზე, წაეკიდა ცეცხლი ჯაბაროვის მაღაზიას, რომელიც იმყოფება მირზოევის სახლებში, სასტუმრო «კავკაზის» ქვეშ, შტაბის გვერდით. რაც რამ საქონელი იყო მაღაზიაში, სულ-ერთიანად გადიწვა, მაგრამ თითონ სახლი კი გადაარჩინა ცეცხლის-მქრობელმა კომანდამ.

აი საქმე როგორ ყოფილა: საღამოზედ, მაღაზიის დაკეტვის წინად, იქ, პატრონის გარდა, ხუთი სხვა გარეშე კაციც იყო თურმე; ერთმა ბიჭმა გააქრო ლამპები, რომელნიც ქუჩისკენ იყვნენ გამოკიდებულნი, ხოლო მეორემ დაუწყო ქრობა დასაკიდებელ ლამპებს. როდესაც ერთი ლამპა-ღა დარჩა გასაქრობი და ბიჭმა მოჰკიდა მარცხენა ხელი გასაქრობად, ლამპა მოშორდა ჯაჭვს, ჩამოვარდა ძირს, შიგ ლამპაში ცეცხლი გაჩნდა და იქიდამ მსწრაფლად მოედო ბიჭსაც მარცხენა ხელზე და მარჯვენა ფეხზედ. ცეცხლ-მოკიდებული ბიჭი მაშინათვე ქუჩაში გამოვარდა და იქ პოლიციელმა და სხვა გამვლელ პირთ გაუქრეს ცეცხლი. ამ ბიჭს მარჯვენა ფეხი და მარცხენა ხელი ძლიერ დასწვია. მაღაზიის პატრონს ჯაბაროვს გული შესწუხებია. სიდრემდის ცეცხლის-მქრობელი კომანდა მოვიდოდა, მაღაზიას შიგნით ისე ჰქონდა მოდებული ცეცხლი, რომ აღარა გზით არ შეიძლებოდა იქ შესვლა და ამის გამო ყოველივე, რაც კი რამ შიგ იყო—საქონელი, თუ სხვა ავეჯეულობა—სულ ერთიანად გადიწვა. მაღაზია დაზღვეული ყოფილა მოსკოვის საზოგადოებაში 15,000 მანათად. ამბობენ, ვითომ განძრახ

---

ეს და მორჩილად მიიდგა ახლო ტასოსთან სკამი, გამოართო მას გამხდარი, მაგრამ ლამაზი ხელი.—ნება მიბოძეთ ჯილდოდ გაკოცოთ ხელზედ.

— მაკოცეთ, ვინ გიშლით? თუნდა მეც გაკოცებთ; დეე დამინახოს.

— მაგაზედ მე თითონ უარს ვიტყვი, ტასო! მე ხომ ხუმრობით არ მიყვარხართ, მაგოდენ ნებას ჩემს თავს არ მივცემ.

ტასომ ნაღვლიანად შეხედა გრიგოლს.

— მომიტევეთ, გრიგოლ!—მშვიდად უთხრა ტასომ. — მართლა, თქვენ უფრო მეტის ღირსნი ხართ.

—

საღამო ჟამი იყო. მზემ გადიწვერა დასავლეთისკენ. მისი მკრთალი სხივები ესალმებოდენ ტფილისის სახლებს. ხალხი ბუზივით ირევოდა ქუჩებში.

ამ დღეს დილიდამ მოკიდებული წრეველაძის სადგომში დიდი არეულობა იყო. გამოჰქონდათ სხვა-დასხვა ბარგი ეზოში და ალაგებდენ ეკიპაჟში. ღიებულ ფანჯრებთან ხშირად გამოდგებოდა არჩილ, აშფოთებით გახედავდა ხოლმე ნემსაძის სახლს, მაგრამ ამაოდ. ამ დღეს, თითქოს განგებ, ტასო არ მიჰკარებია ფანჯარას.

— საწყალი რა რიგად გამხდარა, გაყვითლებულა! —ამბობდა ტასო, რომელიც ჩუმად თვალს ადევნებდა, დამალული ფანჯარის ფარდებში. — აი, მიდის და ჩემს დღეში ვეღარ ვნახავ, ვეღარ. გამოთხოვებაც არ მაღირსა... გამოთხოვება! არჩილ, არჩილჯან!

ტასომ აღარ იცოდა, რას სჩადიოდა: ხან დარბოდა ოთახში, ხან ცდილობდა გართობას ხელ-საქმით, მაგრამ რამდენჯერაც ხელში აიღო საქმე, იმდენი ხელიდამ გავარდა.

— ტასო! მოდი, კაცს გავუგზავნი არჩილს?—მოკრძალებით ჰკითხა ვასილმა. რატომ არ მოდის გამოსათხოვებლად. აი ცხენებიც მოიყვანეს, საცაა, წავლენ.

— არ მოდის და ნუ მოვა, საჭირო არ არის. შენ ნუ სწუხარ, რომ მე ესე ნაღვლიანად ვარ, — გამივლის. ოჰ, ვასილ, როგორღაც გული მიმდის. ღმერთო ჩემო, შენ მიშველე!—ამოიოხრა ტასომ: თითქოს მომწამლა, რამდენი ვეცადე აღარ მეფიქრა იმაზედ, მაგრამ ვერ შევძელ. ოხ, რა რიგად მიყვარს, ლამის გავგიჟდე!

ტასო ტირილით დაეცა ნემსაძის მუხლებზედ.

— გავგზავნი ვისმე, მოვიდეს, ტასო!—გამეორებით უთხრა ნემსაძემ. ან არა და მე თითონ წავალ, მოვიყვან, მოველაპარაკები; გამოეთხოვე, ტასოჯან! ანა და, შენ ჩემი ქალი ხარ, მე თქვენ ერთად შეგყრით, დაგლოცავთ. იმასაც უყვარხარ თურმე; რაც შენ შეხვდი, ცოლთან კარგად ველარ არის.

— ოჰ, რა კეთილი ხარ, ვასილ! ცდილობ როგორმე დამამშვიდო.

— რას მეტყვი, ტასოჯან? წავიდე, მოვიყვანო?

— არა, რა საჭიროა? სულ ერთია, ხომ წავა და ველარ ვნახავ. არა! არ მინდა, გაიგოს, როგორ ვიტანჯები იმის მოშორებით. შემდეგში დამცინებს... არა, არა, არას დროს, არ ვაგრძნობინებ, როგორ მიყვარს!... არა... მოსულიყო, გავაგდებდი, არ მივიღებდი!

მან შეიმშრალა ნამტირალევი თვალები და გადაიხედა ფანჯრიდამ. არჩილ საგზაო ტანისამოსით მოდიოდა ამათკენ.

— მოდის! წადი... წადი, ვასოჯან! მე მინდა უმოწმოდ გამოვეთხოვო მას; ისე დავტანჯამ, რომ საუკუნოდ დაეხსომება. შენ იმათსა წადი, ვითომ გამოსათხოვებლად.

ტასოს ხელები აუკანკალდა, ტუჩები გადუფითრდა ღელვისაგან, მაგრამ დაიმორჩილა თავისი გრძნობანი და მხიარულად მიეგება არჩილს.

— გზას მიეშურებით, კნიაზო? ღმერთმა კეთილი მგზავრობა მოგცეთ! მე და ვასილს გვეგონა, არ შემოხვიდოდით გამოსათხოვებლად; ის თქვენთან წამოვიდა.

— ერთის წამით ძლივს დავაღწიე თავი.

— ცოლი არ გიშვებდათ, განა?

— არა.... ისე, ვერ მოვიცალე; ჩვენ არა ვფიქრობდით, უცებ მოგვიხდა წასვლა აქედამ. მშვიდობით, ტასო!

მაგრა მოუჭირა ხელი, დააცქერდა თვალებში და ელოდა, რომ გამოთხოვების ჟამს მაინც გაიგონებდა მისგან ტკბილ სიტყვებს.

— მშვიდობით! ცუდად არ მახსენოთ,—უთხრა ტასომ შემკრთალის ხმით—მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ.—ღმერთმა!

— მაგის მეტი აღარაფერი? განა აღარაფერი? ხომ საუკუნოდ... საუკუნოდ ვშორდებით ერთმანერთს! არა, მე ეგრე ვერ გამოგეთხოვები! იგი გადაეხვია ტასოს, მხურვალედ ჩაიკრა გულში და აკოცა გაყვითლებულ ტუჩებში. ტასოს თავბრუ დაეხვა. ჭერ ლანებდა, მაგრამ მალე მოვიდა გონზედ და გაბრაზებით ხელი წაჰკრა არჩილს.

— თქვენ, ბატონო, როგორც გხედავთ, მამის ხასიათი გამოგყოლიათ,—უთხრა ტასომ.—ნებით რომ არა გმორჩილდებით, თქვენ ცდილობთ ძალით დამორჩილებას, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ეხლა მე თქვენი ყმის ქალი აღარა ვარ და იმიტომ შემიძლიან ვთქვა, რომ თქვენ ფლიდი, უსინიდისო კაცი ხართ. გთხოვთ, აქედამ წაბძანდეთ, თორემ ბიჭებს დავუძახებ და გაგაყვანინებთ.

— ნუ შესწუხდებით, მე წავალ, მხოლოდ ნება მიბოძეთ ორი სიტყვა გითხრათ: თქვენ ერთ სიტყვაზედ მე მზად ვიყავ აქვე დავბრუნებულიყავ და სამუდამოდ თქვენთან დავრჩენილიყავ.

— ხა, ხა, ხა! ცოლი? მერე უნდა სიკეთის გარდახდა?

მოუკიდეს ცეცხლიო, რის გულისთვის ის ბიჭი, რომელსაც ცეცხლი მოეკიდა, დაატუსაღეს.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთ სააგენტოსი“).

21 აპრილს.

**პეტერბურგი.** ხუთშაბათს მათი იმპერატორებითი დიდებულებანი დაბრუნდენ გატჩინოში.

მემკვიდრე ცესარევიჩის სრულ-წლოვანობის გამო პეტერბურგის საბჭომ დაადგინა: მიართვას მისს უდიდესობას პურ-მარილი და მისალოცი ადრესი, გამართოს სახალხო სეირნობა და დანიშნოს 25,000 მანათი ღარიბი, ებინათ ბავშვებისთვის თავ-შესაფარის გასამართად.

ოფიციალური ცნობებით, რუსეთის სესხზედ ხელი მოაწერეს: სამზღვარ-გარეთ 173,225,900 და რუსეთში 73,727,200 გირ. სტერლ.

იმის გამო, რომ ჩინეთიდგან ირკუტსკზე და ციმბირის-მხრივ ძლიერ ბევრი ჩესუნჩა შემოდის რუსეთში, განსაკუთრებით მოსკოვში და ოდესაში, აცხადებენ, რომ ჩესუნჩას და საზოგადოდ ჩინურ საქონელს, რომელიც შემოაქვთ რუსეთში ირკუტსკზე, უნდა გადახდეს იმპერიის ტამოჟნებში გარდასახადი საზოგადო ტარიფისამებრ.

**ყაზანი.** ნავოსნობა დაიწყო. პირველივე ცეცხლის გემებით წავა დეპუტაცია, რომელიც უნდა ეცადოს, რომ ციმბირის რკინის გზა ყაზანზე იქნას გაყვანილი.

**პარიჟი.** ზღვათა მინისტრი მოსთხოვს პალატას ორმოც მილიონ ფრანკს ტონკინისათვის.

**ნიუ-იორკი.** ნიუ-იორკის, ნიუ-ჯერსეი და პენსილვანიის შტატებში ტყეები იწვის; 3,000 კაცი უბინაოდ დარჩა; ბევრი დაიღუპა.

**ლონდონი.** დღეს სტრენდში იპოვნეს ჭურჭელი 12 გირვანქა დინამიტით; ჯერ არავინ დაუტუსაღებიათ.

**მადრიდი.** ზორილის მომხრეთა ერთი პატარა გუნდი, რომლის წინამძღოლად ერტარდუსია, გადავიდნენ საფრანგეთში.

22 აპრილს.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის აზნაურობამ წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს სამადლობელი ადრესი იმის გამო, რომ აზნაურობას მიანიჭა მან უფლება ამ წოდების ბეითალმანი მამულების დასაკუთრებისა. ადრესში გამოცხადებულია, რომ ბეითალმანი მამულების შეძენა საშუალებას აძლევს აზნაურობას ქველ-მოქმედების საქმეთა გაფართოებისას.

**ლონდონი.** სტრენდენში დინამიტი კი არა, სათამაშო თოფების პატრონები იპოვნეს.

**ვენა.** როდესაც ავსტრიის მემკვიდრე პრინცი დიპლომატიურს კორპუსს იღებდა, ნელიდოვი და ელჩი ურუსოვი არ იყვნენ იქა.

ტყუილი ხმების გასამტყუნებლად, «პოლიტიშ კორრესპონდანშ», იწერება, — ნელიდოვი არ იყო იმიტომ, რომ იმ დღეს, რა დღესაც პრინცი იღებდა, მართ-მადიდებლების წითელ-პარასკევი იყო. ურუსოვი კიდევ ავად იყო და თავის მაგივრად მან მისიის უფროსი ჩინოვნიკი გაგზავნა. «მაგრამ, — უმატებს გაზეთი, — ხსენებული ხმები რომ უსაფუძვლონი არიან, ამას ის ამტკიცებს, რომ რუსეთს და ავსტრიას მეგობრული დამოკიდებულება აქვთ ურთიერთ-შორის.

23 აპრილს.

**პეტერბურგი.** ვინც კი ახალ სესხზე 1000 გირვ. სტერლინგზე მეტი მოაწერა; იმათ $^3/_4$ სამშაბათს დაუბრუნდებათ; თუ როგორ იქნება განაწილებული სესხი, — მალე გამოცხადდება.

როგორც ისმის, გზათა ინჟინერების ინსტიტუტი მომავალის სააკადემიო წლიდამ იქნება გადაკეთებული აკადემიად, სადაც მიიღებიან მხოლოდ მათემატიკის ფაკულტეტის კანდიდატები და ისინი, რომელთაც უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელში კურსი შეასრულეს. კურსი იქნება 3 წლისა.

# განცხადებანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 9 საათიდგან 1 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: არუთინოვი — 9 საათიდამ 10 საათამდინ შინაგანი ავადმყოფობათა წამლობისათვის, ალიხანოვი და ლისიცევი — 10 საათიდგან 11-დე შინაგანი ავად-მყოფობის წამლობისთვის, ექიმი-ქალი პოტაპოვისა — 11 საათიდამ 12-დე დედა-კაცების და ბავშვების ავად-მყოფობის წამლობისთვის; შტემბორსკი — 12 საათიდამ 1-მდე ხირურგიული, სიფილისის და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისთვის.

ამას გარდა: ზორაბლევიჩი ორშაბათობით — 10 საათიდამ 11-მდე შინაგანი ავად-მყოფობის წამლობისთვის; მინევიჩი სამშაბათობით და პარასკე-

---

— მე ის არ მიყვარს და გავეყრები, თუ შენ... თუ თქვენ ისურვებთ.... თქვენ ყვითლდებით, ხმა გიკანკალებთ... მე თქვენ გიყვარვართ, თუმცა ცდილობთ დაფარვას. თასო, თასოჯან! ნუ მტანჯავ, შემიბრალე! — ამ სიტყვებით იგი კიდევ მივარდა თასოს და გადახვია ხელები, მაგრამ თასო ხელიდამ გაუსხლტა, გაიქცა და დაიყვირა:

— ბიჭო!

როდესაც მობრუნდა, არჩილ იქ აღარ იყო. თასო მოწყვეტილი დაეცა სკამზედ.

— წავიდა!... აღარ მოვა!

ლოყებზედ ჯერ კიდევ გრძნობდა არჩილის მხურვალე კოცნას, ჯერ კიდევ ესმოდა მისი ტკბილი ხმა და თვით იგი ჯერ კიდევ მის თვალთა წინ იდგა, მწუხარე, გაყვითლებული, დატანჯული და აღელვებული. — ჩემს დღეში ვერ დავივიწყებ მას, ვერ დავივიწყებ! ტირილით მოსთქვამდა იგი. — მე თითონ დავკარგე ბედნიერება»!

ზარების წკარა-წკურმა მოიყვანა თასო გონზედ. დაიძრა წრფელაძის ეკიპაჟი. არჩილ თავის ცოლით შიგ ისხდენ. არჩილ უკან იხედებოდა, თასოს ფანჯარისკენ.

— მშვიდობით! მშვიდობით, ჩემო სიხარულო!.. მშვიდობით, ჩემო სიტკბოებავ! მშვიდობით, მშვიდობით! ვერ მოითმინა და ხმა-მაღლა გადასძახა გაღებულ ფანჯრიდამ თასომ.

— დააყენე! მე ეხლავ მოვალ... მე თქვენთან სამაპიროზე დამრჩა, ბატონო ნემსაძე! — სთქვა წრფელაძემ, გადმოხტა ეკიპაჟიდამ და გაიქცა ნემსაძის სახლისკენ. თუმცა მისმა ცოლმა თავი გამოჰყო ეკიპაჟიდამ და ბოროტებით სავსე თვალებით უცქეროდა ქმარს, მაგრამ არჩილმა ყურადღება არ მიაქცია. არჩილის ცოლმა გაიგონა თასოს სიტყვები.

თასო გამოეგება არჩილს და ტირილით, მხურვალედ გარდაეხვივნენ ერთმანერთს.

— მოვბრუნდე? მიყვარვარ?

— მიყვარხარ, მიყვარხარ! ქვეყანას მირჩევნიხარ, სიცოცხლეზედ მეტად მიყვარხარ!

— მე მოვბრუნდები... ნუ სტირი... მოვბრუნდები, თასოჯან!

— არა... არ მინდა... ღმერთმა ხელი მოგიმართოს... წადი, — დაგლუპავ, მე შენი ტოლი არა ვარ. მშვიდობით, წადი, ცოლი გელის. ღვთისმშობელი იყოს შენი მფარველი.

გადაეხვია და ცხარედ გადუკოცნა სახე.

— ჩქარა წადით, თორემ თქვენი ცოლი მოვა წასაყვანად, — უთხრა ნემსაძემ.

არჩილ ერთი კიდევ გადაეხვია თასოს, ხელი მძიმედ ჩამოართო მასილს და წავიდა.

თასო იდგა ერთ ადგილს გაქვავებული, ხელი შუბლზედ მიედო და ყურს უგდებდა ზარის წკარა-წკურს, რომელიც თან-და-თან სწყდებოდა.

— აი, — მიუბრუნდა იგი ნემსაძეს და ცდილობდა გაეღიმა, — აი, სულ გათავდა... სიცოცხლეც თავდება... თასომ დაიწყო ტირილი, მოხუცი მიუახლოვდა, თავზედ ხელს უსვამდა და ალერსიანი სიტყვებით ამშვიდებდა.

— ჩემო ძვირფასო!... მამა ჩემო! მომიტევე, მომიტევე მე საბრალოს!

— რა იყო! რა იყო, რა იყო თასოჯან!

იგი ცდილობდა წაერთმია ხელი, რომელსაც თასო მხურვალედ უკოცნიდა.

— მე წავალ ბანზედ... გავივლი, — სთქვა უცებ დამშვიდებულმა თასომ.

— ადი, გენაცვა! გაიარ-გამოიარე, მეც პატარა ხანს დავისვენებ და ამოვალ შენთან. აღარ შემიძლიან, თასოჯან, დავბერდი. — თასომ თვალი გაუშტერა.

— რა ძლიერ დაბერდა, — ჰფიქრობდა თასო — საძმო იქნება ამისთვის უჩემოდ სიცოცხლე; მაგრამ აბა რა ვქნა, თუ კი აღარ შემიძლიან მეტი! არჩილ წავიდა... ჩემს დღეში ველარ ვნახავ და მე უიმისოდ ვერ ვიცოცხლებ... არა, არ შემიძლიან! მაინც სულ ერთია.,. ხომ ვასილსაც დიდი დღე აღარა აქვს.

მივიდა გარდაეხვია ნემსაძეს და უთხრა: გმადლობ ყველაფრისთვის, რაც შენ მე სიკეთე მიყავი. — პასუხი აღარ დააცალა და გავიდა ოთახიდამ.

თასო ავიდა სახლის ბანზედ, გაიარგამოიარა; შედგა უცებ და დააცქერდა პირ და პირ სახლის ფანჯარას, საიდამაც არჩილი ხშირად უცქეროდა ხოლმე მას.

— ცოტა ვიცოცხლე ამ წუთ-სოფელში... მაგრამ რა არ გამოვცადე?!! ვნახავდი, ერთს წამს მზე მინათებდა; შემდეგ უცებ ჩამობნელდებოდა ხოლმე. ტანჯვაც ვცადე, სიხარულიც; მაგრამ ტანჯვამ სძლია სიხარულსა. რაც ვიტანჯე, კმარა! — მოაგონდა საბრალოს არჩილთან გამოთხოვების წამი. — დიდ ხანს არ დავავიწყდები არჩილს.

ამ დროს თასოს მოესმა კიბეზედ ფეხის ხმაურობა.

— მოდის... არ გამიშვებს... ოთახში ჩამიყვანს... აღარა ღირს... კიდევ მოვასწრობ.

ამ სიტყვებით თასო გადაეშვა ორსართულიანი სახლიდამ ქუჩისკენ...

ნემსაძემ დაინახა ეს ბანის კარებიდამ.

— მიშველეთ ერთი საზარლად დაიყვირა ნემსაძემ და იქვე კარებში, კიბის თავში, სული განუტევა...

გენო — ლახვარი

25 მარტს 1884 წელს
სოფ. გასპი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობით 9 საათიდამ 10-მდე ხირურგიული ავად-მყოფობის წამლობისთვის; რეიხი სამშაბათობით და შაბათობით 10 საათიდამ 11-მდე თვალის ავად-მყოფობის წამლობისთვის; ზაბაევი სამშაბათობით და შაბათობით $11^1/_2$ საათიდამ $12^1/_2$-ამდე შიგნეულ და ნერვების ავად-მყოფობის წამლობისთვის; Იანკოვსკი სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12 საათამდე შიგნეული ავად-მყოფობის და სიფილისის წამლობისთვის; კრასნოგლიადოვი — ოთხშაბათობით და პარასკევობით 10 საათიდამ 11-მდე შიგნეული ავად-მყოფობის წამლობისთვის.

კბილის ავად-მყოფობის ექიმი ვოლფზონი ყოველს დროს მიიღებს თავის სახლში ღარიბ ავად-მყოფებს, რომელთაც სამკურნალოდან ბარათი ექნებათ.

---







მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **წამალი ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირად ფეხის თითებს შუა,

# გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაქის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის გ. კარპინსკის აფთიაქში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35,

დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავაში ღირს 50 კაპ., პატარა — 30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ.

გ. კარპინსკი.

(10—10)

---

### ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებით, ფაიფორი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის სათხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, ყუთები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიყები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. Ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—100)

---

გამგე კომიტეტი Თბილისის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელთ მოსწავლეთა შემწეობისათვის უმორჩილესად სთხოვს მოხსენებულ საზოგადოების წევრთა, რომელთა შორის ირიცხებიან აგრეთვე Თბილისის სადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელნი, რათა მობძანდენ ჩვეულებრივ წლიურ საზოგადო კრებაზე 5 მაისს, საღამოს 6 საათზე, სააზნაურო სკოლაში, სტარო-ინსტიტუტსკის ქუჩაზე.

საზოგადო კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი:

1) გამგე კომიტეტის წლიური ანგარიში შესახებ სააზნაურო სკოლის მდგომარეობისა და

2) ბიუჯეტი მომავალი აკადემიური წლისა. (6—3)

---

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები — კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—17)

---

## ინგლისის მაღაზიაში

### თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—22)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

### საგლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი საგენტო Ინგლისის მაღაზია. იქვე აურებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის» — 25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმედად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საექიმო ქაღალდი კატერ-კლიზმეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი — 20 კ. (100—79)

---

**PAPIER RIGOLLOT**

**БУМАГА РИГОЛЛО**

**ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ**

ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ

ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВѢДОМСТВАХЪ

**Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію медицинскимъ совѣтомъ.**

Принимайте за *НАСТОЯЩУЮ* **БУМАГУ РИГОЛЛО** лишь ту, листы которой имѣютъ поперегъ сію подпись **красною** краской.




*Продается во всѣхъ аптекахъ.*

ГЛАВНОЕ ДЕПО
**24, Avenue Victoria**
PARIS
**Въ Парижѣ.**

(32—7)

---

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება Თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აპრილიდამ 1 მაისამდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.

აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — —1 გ. 3 კ.

მეორისა — — —1 გ. $2^1/_2$

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის —1 გ. 5 კ.

მეორისა — — —1 გ. $3^1/_2$

მესამისა — — —1 გ. 3 კ.

ჯვარის-მამი პური:

პირველი ხარის. ლავაში 1 გ. 5 კ.

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 4 კ.

მესამისა — — —1 გ. $3^1/_2$

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა —1 გ. 9 კ.

მეორისა — — —1 გ. 8 კ.

სუკი . . . —1 გ. 16 კ.

ცხვრის ხორცი —1 გ. 11 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა —1 გ. — კ.

მეორისა — — —1 გ. — კ.

---

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

*Доз. ценз. Тифлисъ, 23 Апрѣля 1884 г.* სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. Ი. მაჩაბელი.